ცნობის ფურცელი

№ 1931 შაბათი, 21 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1931

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ"-„მოამბის" ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

ფოთის ქალაქის გამგეობა იტყობინება, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ფოთის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება **წირვა და პანაშვიდი** ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის საკათედრო ტაძრის დეკანოზის

გრიგოლ სპირიდონის ძის მაჭარაშვილის

სულის მოსახსენებლად. (6. 1—1)

კვირას, 22 სექტემბერს, მეორმოცე დღეს დრამატურგის

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლის

გარდაცვალებისას ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი გარდაცვალებულისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (2—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქნება განსვენებულის

ავქ. ცაგარლის

სულის მოსახსენებლად ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (2—1)

კვირას, 22 სექტემბერს, კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე, წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ამიერ კავკასიის რკინის გზათა კანტროლიორის თანაშემწის

თავადის დიმიტრი ალექსანდრეს ძის გედევანოვის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ გარდაცვალებულის მამა და ძმები ნათესავთ, თანამოსამსახურეთ და ნაცნობთ. პანაშვიდი დაიწყება დილის 10½ საათზე. (1—1)

განცხადება.

ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აუწყებს ბ.ბ-თ ამომრჩეველთ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს **ხმოსნების არჩევნები** პირველ საარჩევნო ნაწილში დანიშნულია 1902 წლის 22 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება გამგეობაში შეიძლება 21 სექტემბრამდე, ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, რომელ საათის შემდეგაც აღარავის მისცემენ ნებას კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს.

(6. 3—2) ქალაქის თავის მოადგილე **მ. შესტაკოვი.**

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის სააკადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია, ფიზიოლოგია; ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფედოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა, პრაქტიკული მეცადინეობა ექიმები: ა. გ. მალალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—10)

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—3)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450.(

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

(ტელეფონი № 617)

დღეს, შაბათს, 21 სექტემბერს, ხარკოვის დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

დემონი

ოპერა 3 მოქ. და 5 სურ. მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: არციბაშევისა, დობკანსკისა, სკორუპსკაია, ბატონები: ვასილიევი, პოლუიანოვი, ჩემეზოვი, სემენოვი, პევცოვი და სხვანი. **ლეკურს** აასრულებენ პერინი და დიასამიძე. **ბალეტი** გაიმართება ბალეტმეისტერის მენაბენის მიერ. **კოსტიუმები** და სხვა მოწყობილება საკუთარს სახელოსნოში მზადდება. ახალი **დეკორაციები** დახატულია მხატვარის ბ. ნოვაკისაგან. **კაპელმეისტერი** მ. მ. ბუკშა. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, შაბათს, 21 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება **„დემონი"**.

კვირას, 22 სექტემბერს, გაიმართება ორი წარმოდგენა: დილას—პირველი იაფ-ფასიანი საოპერო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება **„ფაუსტი"** და საღამოს—**„პიკოვაია დამა"**.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(6. 0—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინსკისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წლ.)

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. პარიზელ კლერიკალთა წრეებმა ბანკის დაფუძნება განიზრახეს. ახალი ბანკის უმთავრესი დანიშნულება ის იქნება, რომ სამღვდელოების წევრთ შემწეობა აღმოუჩინოს, როცა მთავრობა წინააღმდეგობისათვის ჯამაგირს მოუსპობთ. ფრანსუა კოპეს ძლიერ მოსწონებია ეს აზრი; წინაზე ხომ იმას სცდილობდა, ხალხს მთავრობისათვის ხარჯის მიცემაზე უარი ეთქვა; რაკი ამ საქმეში ვერას გახდა, ეხლა სცდილობს ბანკის დაარსებით მაინც ამოიყაროს მთავრობის ჯავრი. კოპე გაზეთებში ურჩევს ხალხს, საურთიერთო დახმარების კასსა დავაწესოთ სამღვდელოებისათვისაო.

ამასთანავე კლერიკალებმა სხვა აგიტაცია გამართეს: კეთილ-მორწმუნე კათოლიკეთ ურჩევენ, სახელმწიფო შემნახველ-კასსებიდან თქვენი შეტანილი ფული გამოიტანეთო. გაზ. „სიეკლ" ი ჰფიქრობს: ამ ორ საქმეს კავშირი აქვთ ერთმანეთთანაო. გაზეთი შენიშნავს: „ჰკუას ახლო იქნება, კაცმა იკითხოს: სახელმწიფო კასსების წინააღმდეგ იმისთვის ხომ არ გაილაშქრეს, რომ სამღვდელოების დამხმარებელ კასისათვის ფული იშოვნონ. ახალ კასსას ფულის შოვნა ისე არ შეუძლიან, თუ სადმე სხვაგან ფული არ განთავისუფლდა. თუ ვინიცობაა, უვიცი და თავ-ქარიანი ხალხი შემნახველ-კასიდან თავის ფულს გამოიტანს, მაშინ თავის თავად გაჩნდება თავისუფალი ფული. მხოლოდ უნდა გავაგებინოთ ამ ხალხს, რომ ახალ ბანკს მეასედიც არ ექნება იმ სიმკვიდრისა, როგორიც აქვს სახელმწიფოს ბანკს. კათოლიკეთაგან დაარსებული ბანკი ბევრი გვინახავს გაკოტრებული. ისიც საკმაოა, რომ „უნიონ ჟენერალ"-ის საშინელი გაკოტრება გავიხსენოთ".

ინგლისი. ირლანდიაში ეხლაც ბევრი პოლიტიკური საქმე ირჩევა სასამართლოებში. წარსულ კვირას უფროსმა პროკურორმა მისწერა დუბლინის უმაღლესს სასამართლოს, პარლამენტის წევრს ვილიამ რედმონდს (ირლანდიელ ნაციონალისტების წინამძღოლის უმცროსი ძმაა) მოსთხოვეთ, თავმდები წარმოადგინოს იმისი, რომ მომავალში „რიგიანად მოიქცევაო": რედმონდს 18 აგვისტოს ტაგმონში სიტყვა წარმოეთქვა-რედმონდს, სხვათა შორის, ეთქვა:

„ირლანდიის შეერთებულ ლიგის აგიტაციას გულ-მოდგინეთა და მხნედ უნდა შეუწყოთ ხელი, სანამ ყოველი არენდატორი ირლანდიაში თავის ნაქირავებ მიწის მესაკუთრე არ გახდება და ვიდრე მამულის იჯარა სრულებით არ მოისპობა. ძალადობასა და ბოროტ-მოქმედებას არ გირჩევთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, თუ ვინმე ჩვენ ეროვნულ პარტიას დაუშავებს რამეს, ან თავის მეზობლის მამულის ხელში ჩაგდებას მოინდომებს, ღირსია ბოიკოტისა. ამ სიტყვების პასუხის გებას ჩემს თავზე ვკისრულობ".

პროკურორმა ჰპოვა, რედმონდის ნათქვამი ერთს კლასს მეორის წინააღმდეგ აღელვებსო და ამიტომაც მოსთხოვა რედმონდს 100 გ. სტ. გირაოდ და ორიც თავდებობა თითო 50 გ. სტერლინგისა.

◆ ამას წინად ლონდონში ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეებმა კონგრესი მოახდინეს. კონგრესს 40-ათასი მოსამსახურის დელეგატი დაესწრო. დელეგატებს ლაპარაკი ჰქონდათ იმაზე, თუ ფოსტის მოსამსახურეებს როგორ შევუმსუბუქოთ ტანჯვა და გაჭირვებაო. ორატორები ამბობდნენ, მართალია ფოსტა დიდ-ძალ წმინდა შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს, მაგრამ ეს ამბავი არას დროს არ ჩაითვლება იმის საბუთად, ვითომ ფოსტის საქმე რიგზე იყოს მოწყობილი. ინგლისის ფოსტას დიდი შემოსავალი ჯერ ერთი იმიტომ მოაქვს, რომ ფოსტა მეტად დიდ ფულს ახდევინებს ხალხსა, მერე კიდევ იმიტომ, რომ მოსამსახურეებს მეტად მცირე ქირას აძლევენ, ნამეტნავად ფოსტის პატარ-პატარა განყოფილებებში. ორატორებმა მრავალი მაგალითი მოსთვალეს თუ რა მცირე ფასი ეძლევათ დროებით მოსამსახურეებსა, ტელეგრაფისტებს და ტელეფონისტ-ქალებსაო. კონგრესის წლიურ ანგარიშში ნათქვამია, შემწეობას მარტო პარლამენტისაგან უნდა მოველოდეთ, ამიტომ ფო-

სტის მოსამსახურეებმა ჩვენი საკუთარი კანდიდატები უნდა ავარჩიოთ პალატის დეპუტატებადაო.

ავსტრ-ჰუნგრეთი. უნგრეთში ქალ. ნეიზაცში სერბიელებმა დიდი კრება მოახდინეს და პროტესტი გამოუცხადეს ზაგრებელ ხორვატებს. კრებამ ხორვატების საზიზღარი ქცევა დაჰგმო და ზაგრების პოლიციის ქცევა გაჰკიცხა: არაფერი არ უშველა სერბებსა, თითქოს, გაუხარდა კიდეც, რომ ისეთი საზარელი ხოცვა-ჟლეტა მოხდაო. მთავრობამ ზაგრებელ სერბები უნდა დააკმაყოფილოს და ზარალიც უზღასო. ამის თაობაზე რეზოლიუციაც შეადგინეს. ამ რეზოლიუციას ერთსა და იმავე დროს იმპერატორს, უნგრეთის მთავრობას და კროაციის უმაღლეს მმართველობას წარუდგენენ. კრებაზე ორატორებმა ილაპარაკეს; ზაგრებში უწესოება იეზუიტებმა, ხორვატელმა შოვინისტებმა და ეპისკოპოს შტროს-მეიერის პოლიტიკამ გამოიწვიაო. შტროს-მეირი დაჰპირებია პაპს, მართლ-მადიდებელ სერბებს კათოლიკეთა სჯულზე მოვაქცევო.

✦ ზაგრებში მომხდარ უწესოების თაობაზე ბევრი კაცი მისცეს სამართალში. ამ დღეებში ხორვატელ მწერლის სტეფან რადიჩის საქმე გაურჩევიათ. გარჩევის დროს სასამართლოში გარეშე ხალხი არ შეუშვიათ. რადიჩს უწესოების დროს ეთქვა ხალხისათვის: „ხორვატებიცა და სერბებიც ერთი ხალხი ხართო. არა სჯობია, ერთმანერთის ჟლეტას თავი დაანებოთ, შეერთდეთ და ორივე ერთად საერთო მტერს, ჰუნგრებს ებრძოლოთო“. სასამართლოს რადიჩისათვის 6 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია.

✦ ჰუნგრეთის და ავსტრიის პირველ მინისტრებს კერბერსა და სელს 11, 12 და 13 სექტემბერს კიდევ ჰქონდათ მოლაპარაკება. თუმცა მთავრობა ირწმუნება შეთანხმების საქმე კარგად მიდისო, მაგრამ ნამდვილად ასე როდია, თურმე. გაზეთებში ხელ-ახლად აცხადებენ: იმედი არაა, რომ ავსტრია და ჰუნგრეთი საბოლოოდ შეთანხმდნენო.

ოსმალეთი. სტამბოლიდან მიღებულ მოწერილობის თანახმად, ალბანელ სარდალს ბოლეტინაცს ოსმალოს ჯარი შემოერტყა. მაგრამ ამ ამბავმაც ვერ შეაშინა ალბანელები. ისევ ისე ჰღელავენ და ადგილობრივ სერბებს აწუხებენ.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 20 სექტემბერს, შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც თავ. ივანე გივის ძე ამილახვარს ოფიცრის ჩინი ებოძა. ახალგაზდა თავადი 1850 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში და უკვე ორის წლის შემდეგ, 1852 წელს, შამილის წინაამდეგ ერთ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, დაჯილდოვებულ იქმნა ოფიცრის პირველ ჩინით. მას შემდეგ თავ. ივანე გივის ძემ ბევრ ომსა და ბრძოლაში ისახელა თავი, როგორც შესანიშნავის პირადის მამაცობით, ისე სამაგალითო სარდლობით. ამის გამო თავადი ამილახვარი სწრაფად იქმნა დაწინაურებული და დღეს კავალერიის გენერლობა და გენერალ-ადიუტანტობა აქვს მინიჭებული. გუშინ თავ. ივანე გივის ძეს დიდ-ძალმა საზოგადოებამ მიულოცა ღირს-შესანიშნავი იუბილეი დეპეშებითა და ძალიან ბევრი ს. ქალასაც წავიდა, სადაც ამ ჟამად იმყოფება მხცოვანი სარდალი, რათა პირადათ მიელოცნათ მისთვის დღესასწაული.

✦ კვირას, 22 სექტემბერს, 40 დღე სრულდება, რაც ნიჭიერი დრამატურგი **ავქსენტი ცაგარელი** გარდაიცვალა. ამ დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქაშვეთის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნება გადახდილი.

✦ ხუთშაბათს, 19 სექტემბერს, ბაქო-ბალაჯარის გზით ახალს სამწყსოში რუსეთს გაემგზავრა **ეპისკოპოსი კირიონი**.

✦ „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გადაუწყვეტია გამოსცეს **ალბომები ძველის ნაშთებისა**, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ჯერ-ჯერობით გამგეობა გამოსცემს 4 ალბომს, თითოს ორ ცალად და დააწყობს საზოგადოების მუზეუმში. თითოეულს ალბომში მოთავსებული იქნება ათ-ათი სურათი.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული **ბ-ნი მედვედევი ბათომს წავიდა**, რომ იქ მინისტრის მოსვლას მოუცადოს და მიეგებოს.

✦ გუშინწინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა, რომ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ქალაქის გამგეობის **დადგენილება ამრჩეველთა შესახებ** და ნ. ი. თამამშევის საჩივარი უნდა განეხილა. საკრებულომ განიხილა ეს საქმეები 19 სექტემბერს და დაადგინა: ვინაიდან კანონში ცხადად არის გამორკვეული ამრჩეველთა უფლებანი და, ამას გარდა, სენატსაც რამდენჯერმე განუმარტავს ეს საგანი, ამომრჩეველს შეუძლიან ორი ხმა ჰქონდეს—ერთი თავისი და მეორეც ვექილობით—და შეუძლია ერთგან თვისის ცენზით ისარგებლოს, ხოლო მეორე უბანში—ვექილობით. ამასთანავე ისიც დაადგინა საკრებულომ, რომ ვისაც ქალაქის ხარჯები სრულად არა აქვს გადახდილი, არჩევნებში მონაწილეობა არ შეუძლია, თუნდაც სხვა ცენზი ან ვექილობა ჰქონდეს. ნ. ი. თამამშევის საჩივარი საკრებულომ არ შეიწყნარა.

✦ გუშინწინ ქალაქის გამგეობასა და სკოლათა გამგე კომისიას **შეერთებული სხდომა ჰქონდა**. განსახილველად სამოსწავლო ოლქის ინსპექტორის ბ-ნ სლოვინსკის ანგარიში ჰქონდათ, რომლითაც ინსპექტორი აუწყებდა ქალაქს სახელოსნო სასწავლებელში რევიზიით აღმოჩენილ უწესოებებს. ამ რევიზიის გამო სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ანგარიში მოსთხოვეს და დირექტორმაც ანგარიში წარუდგინა კომისიას, რომელსაც ჯერ არ განეხილა იგი და გადაეცა გამგეობისათვის. გუშინწინდელი სხდომაც არ შეეხო ჯერ ამ საქმის დაწვრილებით გარჩევას და სახელოსნო სკოლის გამგე კომიტეტს რევიზიის ანგარიშის შესახები განმარტება მოსთხოვა.

✦ ბაქოს **ნავთის-მრეწველთა მე-17 კრება** დანიშნულია მდგომარე წლის ნოემბრისათვის.

✦ კვირას, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, აკურთხებენ **„ხელოვნებათა გამავრცელებელ საზოგადოების“** ახალ სადგომს გრიბოედოვის ქუჩაზე, არშაკუნისეულ სახლში. ამავე დღეს გაიხსნება სურათების მუდმივი გამოფენა.

✦ ჩვენ ქვეყანაში **ჩაის ბუჩქის ზრდამ ფეხი მოიდგა** და კარგი ნაყოფიც მოიტანა, როგორც ამას თვითონ მიწათ-მოქმედების სამინისტრო ჰმოწმობს.ამას წინად სამინისტროსაგან გამოგზავნილმა თავ. მასალსკიმაც იგივე დაამტკიცა და ვრცელი მოხსენება წარუდგინა სამინისტროს, რომ ჩაის დიდი მომავალი აქვს კავკასიაშიო. ამისათვის სამინისტროს გადაუწყვეტია ჩაის ბუჩქები გაავრცელოს ქუთაისის გუბერნიასა და შავი-ზღვის ნაპირა ადგილებში; განსაკუთრებით-კი გურიას მიაქცევენ ამ მხრით ყურადღებას, რადგან აქ ძლიერ კარგად ჰხარობს თურმე ჩაის ბუჩქი.

✦ ვინაიდან შავი ზღვის ნაპირა ადგილებში სცადეს და დარწმუნდნენ, რომ ფორთოხალი, ლიმონი და ეგრედ წოდებული, მანდარინი კარგად ჰხარობს და ეს მცენარენი მეტად სახეირონი არიან, მიწათ-მოქმედების **სამინისტროს განუზრახავს ბათომის მხარეს** ამ მცენარეთა პლანტაციები დააარსოს, რომ აქედან მერე სხვა ადგილებში გაავრცელონ ამათი ნერგი.

✦ **ახალ-ქალაქში საავადმყოფოს დაარსება** განუზრახავთ და, როგორც გადმოგვცეს, ადგილობრივ მცხოვრებთ კიდეც დაუდგენიათ ამისათვის საჭირო ფულის გამოღება.

✦ ხმალ-ხანჯალით მოვაჭრეებმა სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს, სანამ განსაკუთრებული წესები გამოცხადდებოდა, ჩვენ ბევრი იარაღი შევიძინეთ და დღეს დიდს ზარალში ვართ, რადგან იარაღი აღარ იყიდებაო და სთხოვდნენ იარაღის გაყიდვის შეღავათს. გუბერნატორს განუმარტავს, რომ განსაკუთრებული წესები იარაღის ხმარებისა უკვე ძალაშია და არ შეიძლება თქვენი სათხოვარის შეწყნარებაო.

✦ **დახურულ ბაზრის საქმე** გუშინ განიხილა ოლქის სასამართლომ. ექსპერტები იყვნენ გამოწვეული და ზოგი მათგანი ამტკიცებდა, ამ ბაზრის შენობა იმდენად დაძველებულია, რომ საშიშია იქ ვაჭრობაო; მეორენი კი ასეთს შიშს უარს ჰყოფდნენ და საკმარისად სთვლიდნენ ამ შენობის კარგად შეკეთებას, რომ არავითარ შიში აღარ და-

---

ფელეტონი

ემილ ზოლა.

(ბიოგრაფია)

1796 წელს იტალიაში დაიბადა ფრანსუა ზოლა, მამა ასე მოულოდნელად გარდაცვალებულ შესანიშნავ მწერლის ემილ ზოლასი. მამით ფრანსუა იტალიელი (ვენეციელი) იყო, ხოლო დედით ბერძენი. ფრანსუა, ისევე, როგორც მომავალი რომანისტი, შესანიშნავი კაცი იყო. დიდი ჭკუა, დამოუკიდებელი ხასიათი, საოცარი მხნეობა,—აი განსაკუთრებული თვისებანი იმ ადამიანისა, რომელმაც კაცობრიობას დიდებული მწერალი უძღნა.

ახალგაზდობა ფრანსუამ მეტად მოუსვენრად გაატარა. ერთხანად იგი ნაპოლეონის ჯარშიაც-კი მსახურებდა. მაგრამ მალე გაანება თავი ამ სამსახურს და ინჟენერობას მოჰკიდა ხელი. ფრანსუა ცნობილი იყო, როგორც განათლებული სპეციალისტი. ერთ თვალ-საჩინო თხზულებისათვის პადუას აკადემიამ თავის წევრად მიიღო, ხოლო ჰოლანდიის მეფემ მედალით დააჯილდოვა.

იმ დროს ვენეციაში ავსტრიელნი ბატონობდნენ და ფრანსუას, მხურვალე პატრიოტსა და თავ-გამოდებულ მამულიშვილს, ჭირივით სძულდა ავსტრია და იმისი სულის ჩამდგმელი მეტერნიხი. ბოლოს ფრანსუას გაპარვაც მოუხდაა ავსტრიის სატუსაღოდან. სამშობლოდან ლტოლვილმა რამდენიმე წელიწადი გერმანიაში დაჰყო, სადაც მონაწილეობა მიიღო პირველ რკინის გზის გაყვანაში. შემდეგ სცხოვრობდა ჰოლანდიასა, ინგლისსა და ალჟირში. აქაც სამხედრო სამსახურს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ამასაც თავი გაანება და საფრანგეთში გადავიდა, ჯერ მარსელს, შემდეგ ეკს, სადაც მშვენიერი არხი გაიყვანა და უწყლობით დატანჯულ მოქალაქეთა მადლობა დაიმსახურა, და ბოლოს პარიზს.

აი აქ, საფრანგეთის დედა-ქალაქში, დაიბადა 2 აპრილს 1840 წელს მომავალი რომანისტი ემილ ზოლა (ცოლი—ფრანგის ქალი—ფრანსუამ 1839 წელს შეირთო).

შვიდი წელიწადი ზოლამა და მთელმა ოჯახმა მშრომელ მამის წყალობით უზრუნველად გაატარა; მაგრამ გავიდა შვიდი წელიწადი და 1847 წელს ფრანსუა ზოლა სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მარსელს, როდესაც მგზავრობის დროს იგი სასტუმროში ჩამოხდა. დარჩა უპატრონოდ, უშეძლებოდ მთელი ოჯახი (ცოლი, შვილი და სიდედრი). დარდით მოკლულმა დედამ მიჰყიდ-მოჰყიდა რაც რამ გააჩნდა, გადასახლდა ეკში და იმ იმედით, რომ იქ იაფად ვიცხოვრებო, ქალაქის განაპირას ორი პატარა ოთახი დაიჭირა. ამ ორის ადამიანის საზრუნავი და საფიქრებელი პატარა ემილი იყო, მეტად ცქვიტი, ცოცხალი და გონიერი ბავშვი.

პატარაობა ემილმა თავისუფლებაში გაატარა. იმის ცელქობას, ქუჩაში სირბილს და ლაზღანდარობას ხელს არავინ უშლიდა. რვა წლისა იყო, როდესაც „ღვთის მშობლის პანსიონში“ მიაბარეს; მაგრამ იქაც ისეთი თავისუფლება იყო, რომ ბავშმა ვერც კი იგრძნო სახლიდან პანსიონში გადასვლა. ზოლა უფრო მეტ დროს ბაღში სირბილს, აუზში ბანაობას და ხეებზე ასვლა-ჩამოსვლას ანდომებდა. ხუთი წელიწადი გაატარა ზოლამ ამ პანსიონში. ბავშვს იმდენად წიგნი და სწავლა არ აინტერესებდა, რამდენად მინდორ-ველი. ბუნება ძალიან შეუყვარდა ზოლას. ხშირად სახლში ყოფნის დროს (იმისი დედა სიღარიბის გამო ქალაქიდან მახლობელს სოფელში გადასახლდა) მთელი საათობით დადიოდა მინდორსა და ტყეში და სტკბებოდა ბუნების ჰვრეტით.

1852 წელს 12 წლის ემილი კოლეგიაში მიაბარეს. აქ კი, ცოტა არ იყოს, ფრთები შეეკვეცა თავისუფლებას. მაგრამ ამ დროს უკვე გონს ჩავარდნილი და მიხვედრილი ბავშვი იყო. დედის სიღარიბემ, მუდმივმა გაჭირვებამ და შევიწროვებამ ადრე ჩააფიქრეს ბავშვი; მიჰხვდა, რომ იგი ერთად-ერთი ნუგეში და პატრონი უნდა ყოფილიყო ოჯახისა, ამიტომ კარგად სწავლობდა და სხვაფრივაც სცდილობდა მახლობელთა გულის მოგებას. კოლეგიის უკანასკნელ კლასში ზოლამ თავის თხზულებებით ყველას ყურადღება მიიქცია. ყოველთვის იმისი თხზულება საუკეთესო იყო ხოლმე. ამავე დროს დაიწყო ზოლამ ლექსების წერა.

ზოლას ორი საუკეთესო ამხანაგი ჰყვანდა—სეზანი და ბაილი. დანარჩენებს მაგრე რიგად არ ეკარებოდა და უფრო განზე ეჭირა თავი. სამაგიეროდ ეს სამნი განუშორებელნი იყვნენ: ერთად კითხულობდნენ წიგნებს, სწერდნენ ლექსებს, კამათს ეძლეოდნენ ამა თუ იმ საგანზე. ათასში ერთხელ თეატრშიაც დადიოდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად სამივეს ისევ ბუნება იზიდავდა. ზაფხულში იშვიათი დღე იყო, რომ შინ გაეტარებინათ; მიჰქონდათ დღის საგძალი, ორი-სამი წიგნი, გიუგოს ან მიუსეს თხზულებანი, და მიდიოდნენ მინდორსა ან ტყეში.

ასე გაატარა ზოლამ სიყმაწვილე და სიჭაბუკე 1857 წლამდე, როდესაც დედამ ვეღარ შეძლო ეკში ცხოვრება და გადასწყვიტა პარიზში გადასახლება. იმედი ჰქონდათ, დიდ ქალაქში მოვახერხებთ რამეს და მშივრები არ დავიხოცებითო. ზოლას ერთი წელიწადი უკლდა კოლეგიაში სწავლის გათავებას, როცა აიბარგნენ და პარიზში გადავიდნენ. მწუხარებით და ცრემლებ მორეული გამოეთხოვა ზოლა გულითად ამხანაგებს და პროვანს, რომლის სიცოცხლით სავსე ბუნება და ნათელი მზე ესე ძალიან შეუყვარდა.

საბედნიეროდ, პარიზში აღმოჩნდა კეთილი კაცი, ძველი ნაცნობი, ვექილი ლაბო, რომელმაც მფარველობა გაუწია ახლად ჩამოსულთ და ზოლა წმ. ლუდოვიკოს ლიცეიში მიაღებინა. პარიზმა ძალიან იმოქმედა ჭაბუკზე. ზოლამ ყურები ჩამოჰყარა და სწავლას თითქმის თავი მიანება. იმისი გულისყური პროვანსისაკენ იყო და თუ აინტერესებდა რამე, ისევ ამხანაგებთან მიწერ-მოწერა. ამავე დროს მოუხშირა ზოლამ ლექსებისა და სხვა თხზულებათა წერას. სხვათა შორის ორ თუ სამ ღამეში დასწერა უზარმაზარი ისტორიული რომანი და სამ-მოქმედებიანი კომედია. რომანი, ხელთნაწერი, რასაკვირველია, დღესაც ინახება ზოლას არქივში. თავის თხზულებებით აქაც მიიქცია ზოლამ ყურადღება. მაგრამ სწავლით მაინც ცუდათა სწავლობდა და ბოლოს ისე შესძულდა ლიცეი, რომ ერთი წელიწადი აღარ დაუცადა გათავებას და სრულიად თავი გაანება. გადასწყვიტა, მოვემზადები, ეგზამენს დავიჭერ და ისე მივიღებ ბაკალავრის სახელსაო. მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვეღარ მოახერხა და ბაკალავრის ხარისხი ვერ მიიღო, თუმცა ორჯელა სცადა ეგზამენის დაჭერა.

ცხრამეტის წლისა იყო ზოლა, როდესაც ცხოვრებაში გავიდა და იმის ტალღებს შეებრძოლა. რაღა თქმა უნდა, უდიპლომოს და უნათესავ-უპროტექციოს დიდ ადგილს არავინ მისცემდა; ამიტომ სიამოვნებით დასთანხმდა, როდესაც იმავე მეგობარმა ლაბომ 25 მანეთიანი ადგილი უშოვნა. მაგრამ დილით საღამომდე მუშაობამ მალე გაუტეხა გული ყმაწვილ კაცს. ზოლას სულ სხვა სწადდა: წიგნების კითხვა უნდოდა, გონებით მუშაობა, წერა, თავისუფლება, აქ-კი.. სწორედ ამიტომ შეაგროვა თუ არა 50 მანეთამდე, სამსახურს თავი მიანება და თავისუფალ ცხოვრებას მიეცა. თავისუფლება მართლაც რომ სრული ჰქონდა: მთელი ორი წელიწადი ზოლამ უადგილოდ, მაგრამ ამასთანავე უფულოდ და უპუროდ გაატარა. შიმშილი, წყურვილი, სიცივე—ყველაფერი გამოსცადა ამ დროს ყმაწვილმა კაცმა (დედა სხვასთანა სცხოვრობდა). ხშირად მთელი დღეები უსმელ-უჭმელი ატარებდა. მაგრამ გულს არ იტეხდა და წერას მაინც თავს არ ანებებდა. იმისი პორთფელი სავსე იყო პოემებით, მოთხრობებით, რომანებით, დრამებითა და კომედიებით. ეს არის მხოლოდ, რომ შემოსავალი არა ჰქონდა-რა ამ ნაწერებიდან... ზოგჯერ ზოლა სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, ჰფიქრობდა, ვაი თუ ტყუილადა ვბღაჯნი და ჩემ ნაწერს არავითარი ფასი არა აქვსო...

ასე თუ ისე კუჭი მაინც თავისას თხოულობდა და ზოლამ ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ, როგორც იქმნა, იშოვნა 40 მანეთიანი ადგილი ცნობილს გამომცემელს გაშეტთან. პირველ ხანს ზოლა კონვერტებს აკრავდა, მაგრამ მალე აამაღლეს და განცხადებათა

რჩეს შემდეგში. სასამართლომ დაადგინა, თვით სასამართლომ და ექსპერტებმა ადგილობრივ დაათვალიერონ და გამოიკვლიონ სადავო საგანიო.

◆ 19 სექტემბერს სხდომა ჰქონდა **ხორცის დუქნების** გამგე კომისიას. კომისიამ განიხილა ოთხის კაცის განცხადება, რომელნიც თავიანთ ადგილებს უთმობდნენ საკლავ საქონლის დასაბინავებლად. კომისიამ არც ერთი განცხადება არ შეიწყნარა. შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა აიღოს იჯარით ორი ადგილი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკისა და საუფლისწულო უწყებისა, რისთვისაც უნდა გადაიდოს წელიწადში 2200 მან. კომისიამ გარდასწყვიტა აგრეთვე, რადგანაც ავლაბრის და კუკიის საძოვარ ადგილებს იჯარის ვადა გაუდის 1903 წლის 1 იანვარს, ამ ადგილებშიაც დააბინაოს საქონელი. წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის წინადადება ვერასა და ავლაბარში ხორცის დუქნების გამართვის შესახებ. კომისიამ გადასწყვიტა, ააშენოს სადგომები დუქნებისათვის ვერის სასწორთან და ავლაბარში კახეთის მოედანზე. ამ აზრით 24 სექტემბერს კომისიამ უნდა დაათვალიეროს ვერისა და კახეთის მოედნები.

◆ მეათე საპოლიციო უბნის მცხოვრებთ უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის, ჩვენც **გაგვიმართეთ საქალაქო ხორცის დუქანი.**

◆ მოგვივიდა მეორე გამოცემა ბ. იაკობ გოგებაშვილის რუსულის წიგნისა **„სიმართლე ტფილისის შესახებ“**. წიგნის მოგებიდან ერთ ნაწილს ავტორი კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას სწირავს.

ხვალ გამოვა მე-59 № „სურათებიანის დამატებისა“ შემდეგის შინაარსით: ლექსი—განდეგილისა. „ჯამბაზი“ (დასასრული) მოთხრობა, თარგმ. ახოსპირელისა და ნარევი; **სურათები:** ემილ ზოლას პორტრეთი, „ზღვის პირას“ სურათი და კარრიკატურები „ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა“ (დასასრული).

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკში დამფასებლების არჩევნები დანიშნული იყო 18 სექტემბრისათვის. როგორც ზედამხედველ კომიტეტისა, ისე გამგეობის წევრთა უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ არჩევნები ეხლავე მომხდარიყო; მხოლოდ ორიოდე კაცი იყო მაისამდის არჩევნების გადადების მომხრე. მაგრამ ბ-ნ მელნიკოვის გამოცხადებამ: „თქვენ კიდეც რომ მოახდინოთ არჩევნები მაისამდის, **მე ჩემის უფლებით** მაინც ძველებს დავტოვებო“,—აიძულა ზედამხედველი კომიტეტი შეჰკითხებოდა დეპეშით სამინისტროს, აქვს თუ არა მელნიკოვს ასეთი უფლება მინიჭებულიო.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან თავ. ნ. ყ. თავდგირიძისაგან: ქუთაისში მეორე საქალაქო სკოლის გახსნის შესახებ სამინისტრომ ნებართვა დეპეშით სამს სექტემბერს გამოუგზავნა მზრუნველს, წერილით კი ცხრა სექტემბერს და მზრუნველიც მალე გადმოგცემთ თქვენო. რაც შეეხება გამგეობის მეორე შეკითხვას,—მართლა აქვს თუ არა მთავრობას განზრახვა დააარსოს კავკასიაში უმაღლესი სატეხნიკო ინსტიტუტიო, თავ. თავდგირიძე იწერება: ეს საქმე შორეულ მომავალის პროექტია, ჯერ-კი მხოლოდ ხმები დადის ამის შესახებო.

◆ ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ქ-ნი სმაგინისა ქუთაისის საქალაქო კლუბში გამართავს საცეკვაო სალამოს, რომლის შემოსავალი ქუთაისის ღარიბთა საავადმყოფოს შენობისათვისაა დანიშნული.

ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებას ქუთაისში 22 სექტემბერს ქალაქის ბაღში დანიშნული აქვს საბავშო დღესასწაული. ბაღში ორი სამხედრო მუსიკა იქმნება მოწვეული. ბავშებისათვის გამართული იქმნება სხვა-და-სხვა სათამაშოები. ბაღში შესვლის ფასი დიდებზე აბაზია და ბავშებზე და მოსწავლეებზე—ორი შაური. თუ ცუდი ამინდი შეუხვდა, დღესასწაული 26 სექტებრისათვის გადაიდება.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად, რუსულის გაზეთების სიტყვით, ინიშნება პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტის დირექტორი ხ. ს. გოლოვინი.

◆ ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული სატრაქტირო გადასახადის მომატების შესახებ.

◆ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს რკინის გზებს განსაკუთრებული ვაგონები დაურიგოს, რომლებითაც ცოცხალი თევზი უნდა გაიგზავნოს ხოლმე მოსკოვსა და პეტერბურგს.

◆ კიევის უნივერსიტეტის პირველ კურსზე წელს 1,091 სტუდენტი იქმნა მიღებული. აქედან 421-მა გიმნაზია გაათავა წელს და 670—სტუდენტად ნამყოფია. ესენი გაზაფხულზე დაითხოვეს.

პრესსა

თავ. წერეთლის საოპერო დასის პირველ წარმოდგენას ტფილისის ყველა გაზეთებმა თანაგრძნობის შენიშვნები უძღვნეს. საერთოდ ყველანი აქებენ ორკესტრს, ხოროს და საზოგადო ანსამბლს; არტისტ—მომღერალთაგანიც მოიწონეს ზოგიერთები, მაგრამ საბოლოო აზრს მათ შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ არ ამბობენ, რადგან ერთის ნახვითა და გაგონებით არტისტის დაფასება ძნელია. ტფილისის ყველა გაზეთებს მხოლოდ „კავკაზ.“-ი გამოაკლდა. მის რეცენზენტს თითქმის არაფერი არ მოსწონებია: არც ხორო, არც ორკესტრი, არც სახელოვნო ნაწილი, არც არტისტები. ამის შესახებ რა ითქმის: კაცია და გუნებაო, არ მოსწონს —ეს მისი საქმეა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტა არ იყოს გასაკვირველია მეტის-მეტად გადაჭარბებული გაკიცხვა, თვით კილო, რომლითაც დაწერილია რეცენზია. მართლა ცუდი დასები უნახავს ტფილისს, მაგრამ ასეთის კილოთი რეცენზიები არ დაწერილა. ნეტავი რამ გააბრაზა ბატონი რეცენზენტი?!

მისი გაუგებარი გაბრაზება იმდენზე შორს მიდის, რომ სრულიად შეუწყნარებელ ურიგობასაც სჩადის. აი, თვით მკითხველმა განსაჯოს:

> როგორღაც უცნაური იყო ბანკის (?) თეატრში დიდებულ გუნოს მუსიკის ჰანგების გაგონება იმის შემდეგ, როდესაც ამ თეატრში მრავალ წლების განმავლობაში ისმოდა თავ-დაუჭერელი საოპერეტო სიმღერა, ჰსუფევდა კანკანი, ხოლო დრამასა და კომედიასა „ვარჯიშობდნენ“ ქართველი და სომეხი აქტიორები.

ერთი ჰკითხეთ ამ ბატონს—ქართველ და სომეხ აქტიორებმა რა დაუშავეს?! ვთქვათ, ოპერაცა და თეატრიც უვარგისნი არიან, ქართული ხელოვნება რა მისი ხელ წასაპოტინებელი შეიქნა?!. სწორედ არ ეკადრება „კავკაზ.-ს ასეთი უადგილო ურიგობა.

თეატრი

ოპერა. 19 სექტემბერს. ჩაიკოვსკის ოპერებში „ევგენი ონეგინს“ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თავის მელოდიური ხმებით. ამ ოპერის დასადგმელად საჭიროა დახელოვნებული მომღერალ-მოთამაშენი, წინააღმდეგ შემთხვევაში მსმენელი და მაყურებელი ვერ მიიღებს მთლიან შთაბეჭდილებას და მშვენიერ მუსიკას ლაზათი დაეკარგება. უეჭველია ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ტფილისის „ოპერომანები“, რომ არ ენდნენ თ. წერეთლის საოპერო დასის ძალას და ნაკლებად მოვიდნენ ამ ტფილისელების საყვარელ ოპერაზე. მანამ ოპერა დაიწყებოდა, დამსწრენი სკეპტიურად უცდიდნენ ონეგინსა და ტატიანას. იაკოვლევისა და კომიონსკის მსმენელთ არ ეგონათ, რომ გამოჩნდებოდა მესამე ონეგინი, მაგრამ შესცდნენ. ონეგინი წარმოადგინეს კარგის ანსამბლით. ქ. გაშინსკისამ ტატიანას პარტია კარგად აასრულა როგორც ვოკალურის, ისე დრამატიულის მხრივ. მართალია, თავის ტკბილი ხმით სავსებით ვერ დაატკბო მსმენელნი ავადმყოფობისა გამო, მაგრამ საზოგადოდ კარგად ჩაატარა მეტადრე ძნელი ადგილი მეორე სურათისა (წერილის მიწერა ონეგინთან). ამ სცენაში გაშინსკისამ ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

ონეგინის პარტიას ასრულებდა პოლუიანოვი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთში კიდევ ყოფილა ონეგინი და მასთან კარგი მოთამაშეც დრამატიულის მხრივაც და სიმღერითაც. არია „УВЫ СОМНѢНІЯ НѢТЪ“ სამჯერ იმღერა საზოგადოების თხო-

---

განყოფილებაში გადაიყვანეს. გაშეტთან ხშირად დაიარებოდნენ მწერალნი და ლიტერატორნი და ამათ დანახვაზე ზოლას წერის ჟინი უორკეცდებოდა. ბოლოს ზოლამ ვეღარ მოითმინა და ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიდან წასვლის დროს, გამომცემლის კაბინეტში სტოლზედ დასტოვა ერთი თავისი თხზულება—უზარმაზარი პოემა. მეორე დღე (კვირა იყო) საწყალმა პოეტმა მეტად მოუსვენრად გაატარა; ორშაბათს სამსახურში ხომ მთელი ცეცხლი გამოსცადა. გაშეტის ყოველ გავლის დროს კანკალი მოსდიოდა: აი, ან ეხლა მომიბრუნდება, ან ეხლაო. ბოლოს გამომცემელმა კაბინეტში შეიწვია, დასვა სკამზე და დაუწყო ლაპარაკი. პოემა ყურადღების ნიშნად იცნო; გეტყობა ნიჭი გაქვსო, უთხრა და ამასთან ურჩია, იმუშავე და იმეცადინეო. პოემის დაბეჭდვაზე ხმა არ ამოუღია გაშეტს. სამაგიეროდ ამის შემდეგ გაშეტი სულ სხვა ნაირად ექცეოდა თავის მწერალ-ნოქარს: ჯამაგირი მოუმატა, ხშირად თავისთან იწვევდა და ხან ერთ საქმეს ავალებდა, ხან მეორეს.

ორის თვის შემდეგ პატარა მოთხრობაცკი შეუკვეთა საყმაწვილო ჟურნალისათვის. მაგრამ როდესაც ზოლამ მოთხრობა წარუდგინა, გამომცემელი საშინლად გაჯავრდა. თქვენ მწერალი-კი არა, მეამბოხე ხართო, უთხრა, იმდენად ეუცხოვა შინაარსი მოთხრობისა. ზოლამ მიჰმართა სხვა გამომცემელს, ლოკრუას, რომელმაც მართლაც გამოსცა იმისი თხზულებანი.

აი, ამ დღიდან იწყება ნამდვილი მწერლობა ზოლასი. მალე ახალგაზდა კაცმა სრულიად გაანება თავი სამსახურს და ჟურნალისტობას მოჰკიდა ხელი. სწერდა გაზეთებში კრიტიკულსა და პუბლიცისტურს წერილებს, მოთხრობებს, შენიშვნებს. ყურადღება მალე მიიქცია. როგორც ბელეტრისტულ ნაწარმოებებსა, ისე კრიტიკულს წერილებში იგი განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ გზას დაადგა. ამ გარემოებამ არა ერთი და ორი უსიამოვნება აგემა მწერალს, რადგანაც მოწინააღმდეგე ბევრი გამოუჩნდა და ბრძოლა დიდი მოუხდა. ზოლას პირველმავე თვალ-საჩინო რომანმა—„ერთის სიყვარულის ისტორიამ“—მთელი ალიაქოთი და ვაი-უშველებელი ასტეხა კრიტიკოსთა შორის. „ფიგარომ“ პირდაპირ განაცხადა, რომ ამგვარ რომანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ლიტერატურაშიო. მაგრამ ახალგაზდა მწერალმა ყურადღება არაფერს მიაქცია და ერთხელვე ამორჩეულ გზას არ უღალატა. ამ დროს სავსებით გამოირკვა ლიტერატურული ფიზიონომია ზოლასი და ის ახალი გზა, რომელიც მალე „ნატურალიზმის“ სახელით მოინათლა. თვით ეს სიტყვა ზოლამ პირველად ზემოხსენებულ რომანში იხმარა, ხოლო კრიტიკულ წერილებში გამოარკვია მნიშვნელობა ნატურალიზმისა. ავტორის აზრით, რომანისტი იგივე მეცნიერია, რომელიც ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ კანონებს იკვლევს. რომანისტმა მეცნიერივით უნდა შეჰკრიბოს დიდ-ძალი საბუთი, შეისწავლოს წრე, ადგილი, დრო, ამა თუ იმ გმირის შთამომავლობა და სინამდვილით აღწეროს ყოველივე. მწერალი არაფერს არ უნდა შეუშინდეს, არც კაცთა სიბინძურეს, არც გარყვნილებას და არც ბოროტ ადამიანთა უკიდურეს სიმდაბლეს. ამასთან მწერალმა ერთის წუთითაც არ უნდა გადაუხვიოს იმ კანონებს, რომელსაც ადამიანის სული და სხეული ემორჩილება. პირიქით ყოველივე შედეგი უნდა იყოს ამ კანონებისა.

აი, ამ მოძღვრებით აღჭურვილი შეუდგა ზოლა თავის შესანიშნავ სერიის რუგონ-მაკარების წერას. ოცი რომანი დასწერა ზოლამ ამ სერიისათვის და არც ერთში არ უღალატა თავის „თეორიას“. ზოლამ აიღო ერთი ოჯახი, გარყვნილებითა და ალკოგოლიზმით შეპყრობილი, და თვალ-წინ გადაგვიშალა დიდებული სურათი იმისა, თუ გარყვნილება როგორ გადადის ერთის თაობიდან მეორეზე. ვიდრე წერას დაიწყებდა, ზოლამ რვა თვე მოანდომა მასალების შეკრებას. დადიოდა წიგნთ-საცავებსა, ათვალიერებდა იმ ადგილებს, სადაც მოქმედება უნდა მომხდარიყო, სწავლობდა ფიზიოლოგიას და სპეციალურ თხზულებებს მემკვიდრეობის შესახებ. მასალის შეკრების შემდეგ შეადგინა დაწვრილებით გეგმა და შეუდგა წერას. მაგრამ ყოველ რომანის წერის დროს ზოლას კიდევ უხდებოდა დამატებით ცნობებისა და საბუთების შეკრება. ამ აზრით დადიოდა ბაზრებსა და ღარიბთა უბნებში; სტუმრად მიდიოდა გარყვნილ ქალებთან (მაგალითად, „ნანას“ შედგენის დროს), იკვლევდა ისტორიაში ცნობილ ადგილებს და სხვ. ასე გასინჯეთ, ზოლამ გმირთა გვარებიც კი ნამდვილი აიღო, რის გამო პირველ ხანს ათას უსიამოვნებასა და საჩივარს წააწყდა

ეს სერია შესანიშნავი მარტო „მემკვიდრეობითი კანონის“ აღწერით არ არის. ავტორმა სამაგალითო სურათი დახატა მეორე იმპერიისა: მადლიანის კალმით აღწერა იმ დროის გარყვნილება, მაღალ წრეთა დაცემა და უზნეობა, მოხელეთა სიმდაბლე, მუშათა გაჭირვება და კაპიტალისტთა ფუფუნება-განცხრომა. ერთის სიტყვით, ზოლას ოცი რომანი საუკეთესო ისტორიაა ნაპოლეონ მესამის მეფობისა და იმ დროის ცხოვრებისა.

ზოლას პირველმა რომანებმა დიდი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა ასტეხეს. გამოჩნდნენ თავ-გამოდებული მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. საკვირველია, რომ მოწინააღმდეგეთა დასს უფრო აკადემიკოსნი და ლიტერატურის სათავეებში მდგომნი ეკუთვნოდნენ. ესენი ჰკიცხავდნენ ზოლას, ამბობდნენ, გარყვნილება შეიტანა მწერლობაშიო. სამაგიეროდ, საზოგადოება გატაცებით კითხულობდა ყოველ იმის რომანს. რასაკვირველია, ზოლამ მალე მოიპოვა სახელიცა და სიმდიდრეც. იმისი რომანები 100 და 200 ათასობით იყიდებოდა და ითარგმნებოდა სხვა ენებზე. ნაწილმა მწერლობისამ და თითქმის მთელის ევროპის საზოგადოებამ უდიდეს რომანისტად აღიარეს იგი, თუმცა საფრანგეთის „უკვდავთა აკადემიას“ დღესაც არ მიაჩნია თვალ-საჩინო მწერლად. ასე გასინჯეთ, ამ აკადემიის წევრობის ღირსადაც არა სცნეს ზოლა.

„მეცნიერულ მეთოდს“ ზოლამ არც შემდეგ რომანებში უღალატა. „ლურდი“, „რომი“ და „პარიზი“—აი ის სამი რომანი, რომელიც სერიას მოჰყვა. ამ რომანებში ავტორი უფრო სარწმუნოებას ეხება და ამტკიცებს, რომ დღევანდელმა კათოლიკობამ თავისი დრო მოიჭამა, იგი აღარ აკმაყოფილებს კაცის სულსა და გულსაო. ახალ სარწმუნოებას ზოლა მეცნიერებაში ჰხედავს.

ამ რომანების შედგენის დროს ავტორმა მოიარა ლურდი და რომი, იყო ვატიკანში, შეისწავლა სამღვდელოების ცხოვრება, დოგმატები და სხვა.

ბოლოს დროს დრეიფუსის საქმის გავლენით ზოლამ ახალი რომანი დასწერა. სახელად რომანს „სიმართლე“ ჰქვიან.

ზოლა შესანიშნავი იყო როგორც ადამიანიც. განსაკუთრებულ თვისებას იმის ხასიათისას შეადგენდა პირდაპირობა, სიმართლის სიყვარული და დაჩაგრულის მომხრეობა. მთელ თავის სიცოცხლეში, არც სიღარიბისა და არც სიმდიდრის დროს, ზოლას ქედი არავის წინაშე არ მოუხრია. როგორც მწერლობასა, ისე ცხოვრებაში იგი მედგრად, გატაცებით იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რაც უსამართლობად მიაჩნდა. დრეიფუსის საქმემ სავსებით გადაგვიშალა ამ კაცის სულის სიდიადე. ყველას კარგად ახსოვს ეს შესანიშნავი ბრძოლა, ამიტომ მკითხველს არ შევაჩერებთ ამაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოლამ პირველმა აიმაღლა ხმა მთავრობისა, წარჩინებულთა, მდიდართა და აფიცერთა კორპუსის წინააღმდეგ. ვინ იცის, თუ არ ესეთი სულით ძლიერი კაცი, იქნება უსამართლოდ დასჯილი დრეიფუსი ეხლაც ეშმაკის კუნძულზე ყოფილიყო! ზოლამ მარტო დრეიფუსი არ დაიხსნა: სხვა მებრძოლებთან ერთად ამ კაცმა საფრანგეთი ხელიდან გამოჰგლიჯა იმ უთვალავ კონსერვატორ-კლერიკალებს, რომელნიც სვავ-ყორნებივით დაჰხვეოდნენ და რეაქციისაკენ მიაქანებდნენ ყოველთვის კაცობრიობის წინა რიგში მდგომ და პროგრესის გზის გამკაფავ საფრანგეთს.

ასეთი იყო ღვაწლი და სამსახური იმ კაცისა, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა 16 სექტემბერს.

ბოლოს დროს ზოლა თავისის ცოლით უმეტეს ნაწილად სცხოვრობდა პარიზის მახლობლად, მედანში, სადაც საკუთარი სახლიც შეიძინა.

ი. ა—მე.

ვნით. სცენა დუელი ლენსკის მოკვლის შემდეგ არც კამიონსკის და არც იაკოვლევს ისე რეალურად და ხელოვნურად არ უთამაშნიათ, როგორც პოლუიანოვმა აასრულა. ხორის სიმღერა მეორე და მესამე სცენაში ცოტათი აირია. საზოგადოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ოპერამ,-სასიამოვნო კიდევ ის გარემოებაა, რომ სცენაზე ჰხედავ ახალგაზდა მომღერალთ, რომელნიც სცდილობენ დაიმსახურონ ყურადღება არტისტიულ ეფექტებით კი არა, თავ-თავიანთ პარტიის რეალური შესრულებით.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

—

19 სექტემბერს სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წევრებთან ერთად განაგრძო სასოფლო-სამეურნეობის მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევ პროგრამის განხილვა. სხდომის დაწყებისას ერთმა წევრმა განაცხადა: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ მიერ პროგრამის განხილვას და სხვა მუხლებზე მოხსენებების შემუშავება-შედგენას, როცა ჩვენთვის არავის არ დაუვალებიაო. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სამეურნეო საზოგადოება, როგორც სპეციალური ორგანო კავკასიაში, მეურნეობის წარმატება-განვითარებაზე მზრუნველი, ვალდებულია თვისის ინიციატივით შეუდგეს მეურნეობის საჭიროებათა გამორკვევას და ამა თუ იმ საგნის შესახებ საფუძვლიანის მოხსენების შედგენით დახმარება გაუწიოს საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს. მით უმეტეს საჭიროა ეს, რომ საგუბერნიო კომიტეტში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოების წარმომადგენელმა, რომელმაც უნდა ისარგებლოს შემუშავებულ მასალითაო. შემდეგ ბ-ნმა სააკოვმა სთქვა: უმჯობესია პირველად იმაზე ვიქონიოთ მსჯელობა, რომელი დაწესებულება მიიღებს და განახორციელებს ჩვენგან გამორკვეულ-დასახელებულ საჭიროებებს. თუ სახეში ეს საზოგადო დაწესებულება არ გვექნა და მის უფლება-ღონეს არ მივიღებთ მხედველობაში, მნიშვნელობა არ ექნება ჩვენ მუშაობასაო. თავმჯდომარემ უპასუხა, ჯერ ის აღვნიშნოთ, რა გვესაჭიროება უფრო და მერე ვიქონიოთ მსჯელობა იმაზე, თუ ვინ იდებს თავს ჩვენ მიერ აღნიშნულ საჭიროებათა განხორციელებასაო. კრება დასთანხმდა თავმჯდომარის წინადადებას და შეუდგა პროგრამის განხილვას.

ცოტაოდენი კამათი გამოიწვია მე-4 მუხლმა, რომელიც სოფლად ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება. კრება დაეთანხმა თავ. ლ. ჯანდიერის მოსაზრებას, რომ ხალხმა თავის ნებით გაიწეროს ფული იმათ დასახმარებლად, რომელთაც ცეცხლისაგან ზარალი მოუვა. მე-5 მუხლის—სარწყავ წყლების გაყვანა-გაუმჯობესებისა და მიწის ნიადაგის განოყიერების შესახებ მოხსენების შედგენა დაევალა ბ-ნ შანგირეის. მე-6 მუხლის—სასოფლო მეურნეობის საკუთრებათა დაცვის შესახებ (მაგ. ტყეების გაჩეხის მოსპობა, ცხენებისა და სხვა შინაურ საქონლის ქურდობის მოსპობა, სხვის ვენახებისა და ბაღების გაქურდვის საწინააღმდეგო საშუალებათა დასახელება და სხვა) მოხსენების შედგენა იკისრა ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლ. გ. ჯანდიერმა. მე-7 მუხლის შესახებ (ეს მუხლი შეეხება მიწების მოცვლას, რათა მამულები პატარა ნაჭრებად არ დაიყოს) მოხსენების შედგენა მიენდო ა. ბ. ევანგულოვს. მე-8 მუხლის გამო (გაყვანა და შენახვა საზოგადო გზებისა. ამ საქმეში საურთიერთო დამოკიდებულება სახელმწიფოსი, ერობისა, გლეხთა საზოგადოებისა, სააქციონერო დაწესებულებათა და კერძო მემამულეთა) მოხსენება უნდა შეადგინოს ვ. ა. სოკოლოვმა. მე-9 მუხლი (იჯარის შესახებ კანონ-დებულებათა გადათვალიერება) მიენდო თავ. გ. ნ. დიასამიძეს, მე-10 მუხლი (სახალხო წვრილ კრედიტის მოწყობა) —თავ. ვ. მიქელაძეს; მე-11 მუხლი (გაფართოება მელიორაციულ კრედიტისა)—ვერმიშევს; მე-12 მუხლი (შემუშავება იმ საფუძვლისა, რომლის მიხედვით უნდა გაადვილდეს კოოპერატიულ საზოგადოებათა დაარსება) რცხილაძეს. მე-13 მუხლი (სამეურნეო იარაღის გავრცელება) ხანაგოვსა და როლლოვს. მე-14 და მე-15 მუხლები (შინაურ საქონლის ჯიშის გაუმჯობესება და მერძეობის განვითარება)—ა. ა. ქალანთარს. მე-16 მუხლი (სპეციალურ დარგთა გავრცელება ხალხში)—ტარატინოვსა და ს. ტიმოფეევს, მე-17 მუხლი (სასოფლო ნაწარმოების გაძლიერება)— ზ. ფირალოვს; მე-18 და მე-19 მუხლები (ხორბლეულობის საწყობების გამართვა და სასოფლო ნაწარმოების ბაზრის გაუმჯობესება) —ა. ბ. ევანგულოვს, მე-20 მუხლი (სხვა-და-სხვა კუთხის შორის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა) და მე-21 მუხლი (მეურნეობის ნაწარმოების სახელმწიფო დაწესებულებათათვის მიწოდება)—ევანგულოვსა და სტ. დანდუროვს.

დასასრულ სხდომამ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, გადასწყვიტა დაინიშნოს საზოგადო კრება 24 სექტემბრისათვის. ამ სხდომაზედ მოწვეულნი იქნებიან მეურნენი და სპეციალისტნი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 სექტემბერი

შეინოვო. მანევრების დამთავრების შემდეგ, დღეს, დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის თანდასწრებით, მთავარმა ფერდინანდმა შეინოვოს ბანაკში პარადი გაჰმართა ჯარებისა; 35 ათასი ჯარის კაცი იყო. შემდეგ საუზმე იყო გამართული, რომელზედაც მთავარმა ფერდინანდმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „25-ის წლის წინად კიშინევში დაარსდა თავის ნებით შემსვლელთა ჯარი, რომელმაც საფუძველი დაუდო ბოლგარიის მხედრობას, გადაიარა ბალკანეთის მთები, ტუნძას მივიდა და აქ ბევრად უფრო მეტს მტრის ჯარს შეეჩეხა. სტარო-ზაგორასთან და ჩურანლისთან ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს, რომ გასავალი გზა გაემაგრებინათ, განსაკუთრებით შიპკისა. ერთ მუჭა ჯარს წინ უდგა მთელი მხედრობა სულეიმან ფაშისა. განსაცდელის დღენიც მოახლოვდნენ: 9-სა და 10-ს სექტემბერს შეტაკება მოხდა—ეს არის რუსისა და იმათ მოწაფეების, ბოლგარელ სალდათთა სიმამაცისა და თავგანწირულების ძეგლი. შემდეგ დადგნენ დირს სახელოვანი დღენი 26-სა და 28 დეკემბრისა, როცა მამაცობის სასწაულები განმეორდნენ. დღეს ჩვენ გიხსენიებთ თავ-განწირულად დახოცილ იმ სამხედრო გმირთ, რომელიც ხელმწიფე-განმათავისუფლებელმა გააცოცხლა და თავისის მხრით ხვედრი სარგებლობაც მოიტანა; მადლობას გუძღვნით დღეს კიდევ დარჩენილ ცოცხალ გმირთ." ბოლგარიის მთავარმა მადლობა მიუძღვნა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც დიდი მთავარი თავის წარმომადგენლად გამოჰგზავნა, და სთქვა: „ბოლგარიის წინსვლისა და განვითარების ერთად-ერთი გზა ამ მაგალითის მიბაძვაშია". დასასრულ მთავარმა სადღეგრძელო დალია ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრისა, როგორც მაშინდელის სამხედროის გენერალისიმუსის შვილისა.

დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძემ მიუგო: „ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ახლად დაედასტურებინა თქვენის უმაღლესობისა და თქვენის მმართველობის ქვეშე მყოფ ბოლგარიის ხალხისათვის თავის კეთილ-სურვილთა გრძნობანი. მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ უმაღლესად ბრძანა, რომ მე, როგორც ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენელი, რუსეთის სამხედროის უმაღლესნი მოხელენი, როგორც 1877 წელში სახელოვან ბრძოლის მონაწილენი, დასასრულ, რუსეთის სამხედროის იმ ჯარების წარმომადგენელნი, რომელთან ერთად ბოლგარიის ხალხის რჩეულნი გმირულად იბრძოდნენ თავისის თავისუფლებისათვის—ყველანი ბოლგარიაში მოვიდნენ, რომ დაესწრნენ იმ ომის 25-ის წლის დღესასწაულებს, რომლის მაგალითი ისტორიამ არ იცის. მას აქეთ, მეოთხედ საუკუნის შემდეგ, რუსეთის მხედრობის ნაწილი ხელიხელთ ჩაურიდი კიდევ ერთად არიან თავიანთ ახალგაზდა ძმა-ბოლგარელ ჯართან, მაგრამ ეხლა კი მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მშვიდობიანი წმინდა დღესასწაული გადაეხადა. რუსეთისა და ბოლგარიის სამხედრო ძალები ერთმანერთს შეჰხვდნენ, რომ ბალკანეთის ძირში აგებულს წმ. ტაძარში შეაერთონ თავიანთი ლოცვა დაუვიწყარის ხელმწიფე-განმათავისუფლებელის წმინდა სულისა და თავგანწირულად დახოცილ გმირების სულთა მოსახსენებლად და შეევედრონ აგრეთვე ყოვლად შემძლებელს მიანიჭოს წარმატება და აღყვავება ბოლგარიას, რომელიც ჩემს უავგუსტოესს ხელმწიფეს ძლიერ უყვარს. თქვენმა უმაღლესობამ ბრწყინვალედ და ცხადად დაასურათა, გაჭირვებულ დროს როგორ აღორძინდა და მერე, რუსეთის გამოცდილ კაცთა ხელმძღვანელობით, როგორ განვითარდა სამთავროს სამხედრო. მე თვითონ ჩემის თვალით დავრწმუნდი ამ დღეებში, რამდენად ბრწყინვალე თვისება შეუძენია თქვენ უმაღლესობის ხელში მყოფ ბოლგარიის მხედრობას, რომელიც თავიანთ რუს-მასწავლებლების ანდერძს სახელოვნად ასრულებენ. ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის სახელობით მე ვსვამ სადღეგრძელოს ბოლგარიის გმირულ სამხედროისას, მისს განვითარებისა და აღყვავებისას". ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა პაპრიკოვმა რუსეთის მხედრობის სადღეგრძელო წარმოსთქვა. შემდეგ დიდმა მთავარმა კიდევ დალია სადღეგრძელო მთავრის ფერდინანდისა, ამის მემკვიდრისა და ბოლგარიის მხედრობისა. დიდი მთავარი და მთავარი ფერდინანდი ბურგასს წავიდნენ. მინისტრი კუროპატკინი პლევნას წავიდა.

სტარო-ზაგორა. სამხედრო მინისტრის პაპრიკოვის სიტყვის შემდეგ დიდმა მთავარმა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა, რომელთაც საერთო აღტაცება გამოიწვიეს: „თქვენო უმაღლესობავ! უმაღლესად აქეთ გამოგზავნილთა და თქვენ მიერ მოპატიჟებულთა სახელობით და საკუთრივ ჩემის სახელობით გულითად მადლობას მოგიძღვნით და ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უმაღლესობისას, მთავრის ბორისისა, თქვენის უავგუსტოესის სახლობისა, ძმათა-ბოლგარელ ხალხისა და ბოლგარიის გმირ მხედრობისას"!

კავკავი. გაზ. „კაზბეკ"-ის გამოცემა, რომელიც 8 თვით შეჩერდა, დღეს ახალის რედაქციით იწყებს გამოსვლას.

სევასტოპოლი. დღეს, დილის 11 საათზე, მათი უდიდებულესობანი რამდენისამე საათით ბახჩისარაის წაბრძანდნენ. ნავთ-სადგურში მთავრობის წარმომადგენელთ შეიყარეს თავი.

სევასტოპოლი. გუშინ, საღამოს 8 საათზე, იმპერატორის გემ „შტანდარტ"-ზე უმაღლესი სადილი იყო, რომელზედაც მიწვევის ღირსნი გახდნენ სამხედროსა და ფლოტის უფროსნი წარმომადგენელნი და ოდესის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე დავიდოვი.

ირკუტსკი. ფინანსთა მინისტრი დღეს აქ მოვიდა და საღამოს 6 საათზე გზა განაგრძო.

არიოლი. დილის მერვე საათზე არიოლზე გაიარა სამხრეთისაკენ დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ.

ვარშავა. ადგილობრივი გაზეთები სწერენ, რომ ამერიკელ კაპიტალისტებისაგან კომპანია შემდგარა, უნდათ ვარშავიდან ლოძამდე ელექტრონის გზა გაჰმართონ.

ლონდონი. ბანკის დისკონტი 3-დან 4%-მდე აიწია.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთისაგან განსაკუთრებული დეპუტაცია წავა, რომ ხელმწიფე იმპერატორს მიესალმოს ლივადიაში ყოფნის დროს.

კონსტანტინეპოლი. დიდ მთავარს ხვალ საღამოს მოელიან აქ გემით „გეორგი პობედონოსეც"-ით. დიდს სამზადისში არიან, რომ განსაკუთრებულის პატივისცემით მიიღონ. გემზე მიესალმებიან გარეშე საქმეთა მინისტრი და სხვა წარჩინებულნი. ჩამოვა თუ არა, დაუყოვნებლივ მიიღებენ ილდიზ-კიოსკში. პარასკევს, სელამლიქის შემდეგ, დიდი პარადი იქმნება ჯარებისა და მერე სადილი. შემდეგ დღეებში—სხვა დღესასწაულები გაიმართება უმაღლესის სტუმრის პატივსაცემლად.

20 სექტემბერი

კონსტანტინეპოლი. სალონიკის ვალი იუწყება, რომ მთაში გახიზნული სოფელ ითვარჩიკის (ვალონიკის ოლქისა) მცხოვრებნი სახლში დაბრუნდნენ. შეწყნარებულ იქმნა იმ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა სოფლების თხოვნა, რომელთაც შიში მოელოდათ. მონასტირის ვალი იუწყება, რომ ბოლგარელ ბრბოებს ჯარი სდევნისო. ორივე ვალი იმედს აცხადებს, მალე შევძლებთ ავაზაკთა მოქმედების აღაგმვასაო. ოსმალეთმა სასტიკი ზომები მიიღო პოლკოვნიკის იანკოვის წინააღმდეგ, რომელიც ბრბოთა მოქმედებას ხელმძღვანელობს. როგორც ისმის, იანკოვი მონასტირის ვილაიეტშია. როგორც ოსმალეთი ოფიციალურად აცხადებს, უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი ვილაიეტებში საქმის ვითარების შესახებ,—გაზვიადებულია. ბრბოთა მოქმედების აღაგმვა ძალიან ჩქარა შეიძლება, თუმცა ქრისტიანეთა, მაჰმადიანთა და სოფლელთა დასამშვიდებლად ხანგრძლივი დროა საჭირო.

ბელგრადი. როდესაც პარიზიდან საკეთილო ამბავი მოვიდა ბოლგარიის 60 მილიონიან სესხის შესახებ, მინისტრ-პრეზიდენტს პარიზში დააპირა წასვლა; მაგრამ მინისტრთა საბჭომ დაადგინა სინდიკატის საბანკირო კონტორას ერთხელ კიდევ მოსთხოვოს დაუყოვნებლივ შეიტანოს გადასახდელი ავანსი 15 მილიონი.

ბურგასი. ბურგასში მიმავალს დიდ მთავარს დიდ-ძალი ხალხი დახვდა, აღტაცებით ეგებებოდა და გზას ყვავილებით უფენდა. ბევრ ადგილას ყვავილებითა, ხვეულებითა და რუს—ბოლგარიის გერბებით მორთული კამარები გამართეს. კაზანლიკში ქალაქის მოურავმა სიტყვა წარმოსთქვა და პურ-მარილი მიართვა. ბურგასიდან დიდი მთავარი „კუბანეც"-ის გემზე წავიდა.

ათინა. საბერძნეთის მონასტირელ ელჩს ბრძანება მიუვიდა დაუყოვნებლივ თავის ადგილზე წავიდეს.

ვაშინგტონი. კრეისერ „ცინცინატ"-ის უფროსმა განაცხადა, რომ პანამის ყურეში არავითარ მოქმედების ნებას არ მივცემ თვით პატარა სამხედრო გემებსაც-კი, სულ ერთია,—ვისაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინიო. ამ გემებს თოფის სასროლზედაც არ მივუშვებ რკინის გზის ლიანდაგსა, გემთ-საშენებელსა და იმ გემების სადგომამდე, რომელთაც პანამის რკინის გზის მგზავრები მოჰყავთ და საქონელს ეზიდებიანო.

პალტავა. 17 სექტემბერს, ღამე, კრემენჩუგში განიზრახეს დონის ყაზახი მე-12 რაზმის ესაულის ფილიმონოვის მოკვლა; ფილიმონოვმა ცოლი და ორი ბავშვი რაძავილში გაისტუმრა, თითონ 7 წლის შვილთან ერთად ნაშუაღამევის 1 საათზე დაიძინა. დარაჯებმა ბერესტოვმა და დახოვინოვმა ბავშვის ყვირილი გაიგონეს, როდესაც შევიდნენ, ფილიმონოვი გასისხლიანებულის სახით დახვდათ. სახის ძვლები დალეწილი ჰქონდა, მარცხენა თვალი—გამოთხრილი. უბედური ჯერაც გონს არ მოსულა; იმისი მდგომარეობა უიმედოა. ბალიშ ქვეშ 500 მანეთი ჰქონია და ეს ფული აღარა სჩანს. ქისა ჭაში იპოვნეს, იქვე ნახეს რკინის კეტი, ავაზაკობის იარაღი. ორივე დარაჯი დააპატიმრეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. . წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

—

ქ. ოზურგეთში

ნატანების ქუჩაზე

იყიდება სამი ქცევა სამოსახლო მიწა ხეხილებით მოშენებული. პირობათა შეტყობა შეიძლება ოზურგეთში ელისაბედ ტილურაძესთან. (4—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).